ბათუმიდან 15 კმ-ში მდებარეობს მტირალას ეროვნულ პარკი. მისი უნიკალური და განსაკუთრებული ბუნება საერთაშორისოდ არის აღიარებული. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს პარკი მსოფლიო ტურიზმის უმნიშვნელოვანესი ჯილდოს "World Travel Awards 2020"-ის მფლობელი გახდა.

მტირალას ეროვნული პარკი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ნალექიან ადგილად ითვლება, მისი სახელწოდებაც სწორედ ამ მიზეზითაა განპირობებული. ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტებს შორის მოქცეულ პარკის ტერიტორიაზე, თქვენ შეგიძლიათ ისიამოვნოთ ერთ და ორ დღიანი საფეხმავლო მარშრუტებით. სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში კი კოცონთან პიკნიკის მოწყობის არაჩვეულებრივი შესაძლებლობა გექნებათ. იმისთვის, რომ მოგზაურობა კიდევ უფრო დაუვიწყარი და მრავალფეროვანი გახადოთ, შეგიძლიათ გამოსცადოთ "თოკების პარკის" და ზიპლაინის ექსტრემალური ატრაქციები.

მტირალას ეროვნული პარკი ყოველთვის იქცევდა ვიზიტორთა და ბუნების დამცველთა ყურადღებას. სწორედ მისმა უნიკალურმა კოლხურმა ტყემ და უიშვიათესმა ბუნებამ განაპირობა, რომ მტირალას ეროვნულ პარკს 2021 წლიდან UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსი აქვს. იგი ზურმუხტის ეკოლოგიურ ქსელშიც შედის.

ტყითა და ბუჩქნარით დაფარული პარკის ტერიტორია გამოირჩევა მდიდარი მცენარეული საფარით. აქ თავმოყრილია იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი მცენარეები. პარკის უდავო მარგალიტად შეიძლება ჩაითვალოს მცენარე ეპიგეა, რომელიც მხოლოდ საქართველოსა და თურქეთში გვხვდება. მდიდარია პარკის ცხოველთა სამყაროც, აქ შეხვდებით საქართველოს "წითელ ნუსხაში" შეყვანილ მრავალ ძუძუმწოვარს, ფრინველსა თუ რეპტილიას.



დაბა ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. N13

+995 544 33 44 33

info@parks.ge

მტირალას ეროვნული პარკი / Mtirala National Park

საქართველოს ეროვნული პარკები

მტირალას ეროვნული პარკი

www.nationalparks.ge

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო



ეკოტურიზმი

ველური ბუნების წიაღში ხეტიალი, ფრინველებთან ერთად ცაში ფრენა ზიპლაინით და საკუთარი თავის გამოცდა „თოკების პარკის“ ხის ლაბირინთებში – მტირალას ეროვნული პარკი დაუვიწყარი მოგონებების შექმნის ადგილია.

ცივი მდინარეები, ხავსმოდებული უზარმაზარი ქვის ლოდები, თვალუწვდენელი ხეები, წელამდე ამოსული გვიმრის ბუჩქები, გარშემო ყოვლისმომცველი სიმწვანე და სასიამოვნო სინოტივე – მტირალას ეროვნული პარკი დაუვიწყარი და ემოციებით სავსე მოგზაურობას გპირდებათ.

წლის ნებისმიერ დროს, მტირალას ეროვნულ პარკში შესაძლებლობა გაქვთ ისიამოვნოთ:

- სალაშქრო ტურებით
- სამეცნიერო ტურებით
- ეკოსაგანმანათლებლო ტურებით
- ზიპლაინით
- თოკების პარკით
- ფრინველებზე დაკვირვებით

პარკში 3 ტურისტული მარშრუტი ფუნქციონირებს:

- წაბლნარას ბილიკი – 7 კმ სიგრძის, მარტივი სირთულის, საფეხმავლო
- ცივწყაროს ბილიკი – 15 კმ სიგრძის, საშუალო სირთულის, საფეხმავლო
- ორი მთის ბილიკი – 33,5 კმ სიგრძის, საშუალო სირთულის, საფეხმავლო

ღამის გათევა შესაძლებელია პარკში არსებულ ტურისტულ თავშესაფრებში. ასევე, მოწყობილია საკარვე ადგილები.



ბიომრავალფეროვნება

მტირალას ეროვნული პარკი უნიკალური ბუნებით გამოირჩევა, პარკის ტერიტორია თითქმის მთლიანად ტყით და ბუჩქნარითაა დაფარული. ტყის საცალფეხო ბილიკები ხან ხავს მოდებული უზარმაზარი ხეების, ხან მწვანე კლდის ლოდების მიღმა იკლაკნება. დაბურული ტყე თავის ფერებში გამოხატავს ყველაფერს. აღმართებს, ციცაბო დაღმართები ენაცვლება და ეს ყველაფერი მწვანე ტყის საფარქვეშ ხდება.

მტირალას ეროვნული პარკის ველურ ბუნებას ულამაზესი ჩანჩქერები, ტბები და მდინარეები ამშვენებს, უნიკალური კოლხური ტყეების, ხელუხლებელი წიფლნარისა და უიშვიათესი მცენარეების ერთობლიობა კი წარუშლელ შთაბეჭდილებებს დაგიტოვებთ.

ფოთლოვანი ტყეები ჩლიქოსნების, მტაცებლებისა და ფრინველების საუკეთესო საარსებო გარემოს წარმოადგენს, აქ შესაძლებელია მურა დათვის, შვლის, კვერნის, მაჩვის, არჩვისა და ცხოველთა სამყაროს სხვა წარმომადგენლების ნაკვალევის ნახვა.





ახლომდებარე ტურისტული ობიექტები

პეტრას ციხე | VI საუკუნის ძეგლი, სოფ. ციხისძირი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

ბათუმის ბოტანიკური ბაღი | მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციიდან 2,5 კმ დაშორებით 111 ჰა. ფართობზეა გაშენებული.

გონიოს ციხე, აფსაროსი | ისტორიული ციხე-სიმაგრე, აჭარაში, შავი ზღვის ნაპირზე, მდინარე ჭოროხის შესართავთან.

“მეიდან ოდა” | დაახლოებით 200 წლის ისტორიის მქონე ნაგებობა, სადაც ნებისმიერ სტუმარს შეეძლო მასპინძლის უკითხავად გაეთია ღამე, რისთვისაც მათ ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი. სოფ.ზუნდაგა, ქედის მუნიციპალიტეტი.

ქვის თაღოვანი (მიწის) ხიდი | დაახლოებით XI- XIII სს-ის ძეგლი, სოფ. პირველი მაისი, ქედის მუნიციპალიტეტი.

